საინფორმაციო შეხვედრა უსინათლო და მცირედმხედველ ამომრჩევლებთან

ცესკოს სწავლების ცენტრმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა უსინათლო და მცირედმხედველ ამომრჩევლებთან. რა სერვისებს სთავაზობს საარჩევნო ადმინისტრაცია უსინათლო და მცირედმხედველ ამომრჩევლებს 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის არჩევნებში მონაწილეობისთვის და რა კეთდება საარჩევნო პერიოდში მათი ინფორმირების მიმართულებით - ეს ის საკითხებია, რომელიც ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა უსინათლო და მცირედმხედველ ამომრჩევლებთან გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე განიხილეს.

შეხვედრა ცესკოში შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელმა სოფიო სიჭინავამ, ცესკოს სწავლების ცენტრის ხელმძღვანელმა ნათია ზაალიშვილმა და საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარემ გახსნეს.

შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს კენჭისყრის დღის პროცედურები, მათ შორის ისეთი საკითხები როგორებიცაა: საუბნო კომისიის რამდენი წევრი იქნება უბანზე წარმოდგენილი, ვინ იქნება პასუხისმგებელი ნაკადის მოწესრიგებაზე და რა შეზღუდვები იმოქმედებს პანდემიის გათვალისწინებით. ასევე ისაუბრეს #4 კრწანისის ოლქის საპილოტე პროექტზე, რომელიც აღნიშნულ ოლქში არჩევნების ჩატარებას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ითვალისწინებს. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს, თუ როგორი იქნება ამ საარჩევნო ოლქში საარჩევნო ბიულეტენის ფორმა და ის ჩარჩო ფორმა, რომლის საშუალებითაც უსინათლო ამომრჩეველი კრწანისის ოლქში საკუთარ არჩევანს დამოუკიდებლად გააკეთებს.

საინფორმაციო შეხვედრა ცესკოში არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ინიციატივით 27 სექტემბერს დისტანციურად გაიმართა და მას საქართველოს უსინათლოთა კავშირის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.